კლარა ჰრდა

# თესლეული ჩვენს ხელში

## თესლეულის ბიბლიოთეკები - მეთოდოლოგია

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

UNDP

SEMÍNKOVNA
SÁZEJ, SKLÍZEJ, SDÍLEJ...

## კლარა ჰრდა

თესლეულის ბიბლიოთეკების მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს „სემინკოვნას“ („თესლეულის ბიბლიოთეკა“) ინიციატივის გამოცდილება ჩეხეთის რესპუბლიკაში 2015–2024 წლებში.

პროექტი „თესლეულით გაერთიანებულები: ჩეხურ-მოლდოვური თესლეულის ბიბლიოთეკების გახსნა მოლდოვაში“ განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე დოკუმენტის შინაარსი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მათ შორის, გაეროს განვითარების პროგრამის ან გაეროს წევრი ქვეყნების ოფიციალურ შეხედულებებს.

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

UNDP

SEMÍNKOVNA
SÁZEJ, SKLÍZEJ, SDÍLEJ...

# შესავალი

საუკუნეების მანძილზე კაცობრიობა დამოკიდებული იყო თესლეულის წარმოების ხელოვნებაზე ანუ თესლეულის სათანადო მოყვანის, შეგროვების, შერჩევისა და სეზონიდან სეზონამდე შენახვის პრინციპების ცოდნაზე. მცირე ფერმერები ადგილობრივ პირობებთან საუკეთესოდ ადაპტირებულ თესლეულს თვითონ აწარმოებდნენ. წარმოუდგენლად დიდი იყო ადგილობრივი ჯიშების მრავალფეროვნებაც. თითოეულ რეგიონს ჰქონდა თავისი უნიკალური ნაკრები იმ ჯიშების , რომლებიც ამ მხარეში კარგად ხარობდნენ. თანამედროვე სოფლის მეურნეობისა და გლობალიზაციის პროცესების განვითარებასთან ერთად სპეციალიზებული თესლეულის მწარმოებელი და სასელექციო კომპანიები გაჩნდნენ და ჰიბრიდული ჯიშებისა და სერტიფიცირებული თესლის წარმოება დაიწყეს. ამ მიდგომის გამამართლებელი მთავარი არგუმენტი დაავადების გავრცელების პრევენცია და ჰიბრიდული ჯიშების მაღალმოსავლიანობა იყო. ფერმერები თანდათანობით ამ ახალი ტიპის თესლეულის წარმოებაზე გადაერთნენ. დროთა განმავლობაში მათ კვალს მცირე მებოსტნეებიც მიჰყვნენ. თუმცა ჰიბრიდულ ჯიშებზე გადასვლას, ყველა მოსალოდნელი სარგებლის მიუხედავად, ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი ჰქონდა. თესლეულის წარმოების შეწყვეტას კულტურათა ჯიშების მრავალფეროვნების სწრაფი შემცირება და ადგილობრივ პირობებთან კარგად ადაპტირებული მრავალი ჯიშის სრული გაქრობა მოჰყვა. და რადგან ფერმერთა უმეტესობა თესლეულს აღარ აწარმოებს, ამიტომ საოჯახო პირობებში თესლეულის წარმოების შესახებ ცოდნა თანდათან დაიკარგა.

დრო გადიოდა და ის, რაც იდეალურ გამოსავლად გვეჩვენებოდა, პრობლემების მომტანი აღმოჩნდა. ჯიშების მრავალფეროვნების შემცირებამ კულტურულ მცენარეთა მრავალფეროვნებისა და სიუხვის, აგრეთვე ამ მცენარეებზე დამოკიდებული ცხოველების რიცხოვნობის, შემცირება გამოიწვია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში დომინანტური მდგომარეობა მონოკულტურებმა დაიკავეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მავნებლები და დაავადებები მათ უფრო ადვილად აზიანებენ. მათ არ გააჩნიათ ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციის უნარი და სჭირდებათ სასუქებით, ჰერბიციდებითა და პესტიციდებით დამუშავება.

ამის შედეგად, სოფლის მეურნეობის ძლიერმა ქიმიზაციამ მრავალი ზიანი მიაყენა არა მხოლოდ ბუნებას, არამედ ჩვენს ჯანმრთელობასაც.

დღესდღეობით კომერციულად ხელმისაწვდომი თესლეული F1 თაობის ჰიბრიდებია. ის არ გამოდგება ოჯახის პირობებში თესლეულის წარმოებისთვის, რადგან გენეტიკურად დაუბალანსებელ მასალას იძლევა. ამიტომ ფერმერები და მებოსტნეები იძულებულნი არიან, ყოველწლიურად ახალი თესლეული შეიძინონ და გიგანტური კორპორაციების წარმოებისა და ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე დამოკიდებული ხდებიან.

ამ უარყოფითი შედეგების გააზრებას ახლა ვიწყებთ. სულ უფრო მეტი ფერმერი და მებოსტნე ეძებს გამოსავალს, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ჰიბრიდული ჯიშების ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციის უუნარობა, ფასების ზრდა თესლეულზე, ქიმიურ სასუქებსა და შესასხურებელ საშუალებებზე, აგროწარმოებისა და მებოსტნეობის ბუნებრივ მეთოდებთან დაბრუნების სურვილი. ყოველივე ამან ბიძგი მისცა ენთუზიასტთა ასოციაციების შექმნას, რომლებიც ადგილობრივი თესლეულის წარმოების განვითარებისა და შესაბამისი ცოდნის გავრცელების მხარდასაჭერად ძალისხმევას არ იშურებენ.

გათვითცნობიერებისთვის ამ ძალისხმევას ჩეხეთის რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად დაეხმარა თესლეულის ბიბლიოთეკები, რომლებიც თესლეულის გაცვლისა და გაზიარების ინსტრუმენტს წარმოადგენენ და, იმავდროულად, საგანმანათლებლო და ინფორმაციული უზრუნველყოფის ფუნქციასაც ასრულებენ. ამით ისინი ახალი თემებისა და ამხანაგობების შექმნას უწყობენ ხელს. მათ თანდათანობით ჩვენი ბოსტნების ბიომრავალფეროვნების ახალი წყაროს სტატუსი შეითავსეს. წინამდებარე სახელმძღვანელოში თავი მოვუყარე ჩემს რვაწლიან გამოცდილებას, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკაში ამ ინიციატივის განხორციელების დროს დამიგროვდა.

კლარა ჰრდა

# თავი 1

# თესლეულის ბიბლიოთეკები

# რა არის თესლეულის ბიბლიოთეკა

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, თესლეულის ბიბლიოთეკები ტრადიციული ბიბლიოთეკების მსგავსია, სადაც მკითხველი საკუთარი გემოვნების მიხედვით წიგნებს „სესხულობს“ და წაკითხვის შემდეგ აბრუნებს. თესლეულის ბიბლიოთეკებშიც ანალოგიურად სესხულობენ თესლეულს. მსესხებელი ვალდებულია, სეზონის ბოლოს დააბრუნოს „ნასესხები“, თუ გაშენებული მცენარეებიდან შესაფერის და ვარგის თესლს მიიღებს.

თესლეულის ბიბლიოთეკის მისია არის თესლეულის გავრცელება საზოგადოებაში, რომელიც სხვადასხვა ადგილობრივ პირობებში დათესავს და სათესლე მასალას შემდგომშიც გაავრცელებს. ეს უზრუნველყოფს ჯიშების შენარჩუნებას და ცვალებად ადგილობრივ და კლიმატურ პირობებთან მათ თანდათანობით ადაპტირებას.

თესლეულის ბიბლიოთეკის მიზანი არ არის სტრუქტურირებული კატალოგისა და კოლექციების შექმნა. თესლეულის ნიშანდების, დახარისხებისა და შენახვის წესები ისეთი მკაცრი არ არის, როგორც თესლეულის ბანკებში. აქ, სოლიდარობის ნიშნად, სათესლე მასალა ყველასთვის უფასოა.

ბოლო წლებში ადამიანები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, თუ რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია თესლეულის შენარჩუნება. სემინკოვნა („თესლეულის ბიბლიოთეკა“) წარმოადგენს სამოქალაქო ინიციატივას, რომელიც ადგილობრივი თესლეულის წარმოების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა.

## რა არის თესლეულის ბანკი

თესლეულის ბანკების ფუნქცია არის თესლეულის ხანგრძლივად შენახვა და თესლეულის კოლექციების შექმნა. თესლეულის ბანკებს ხშირად სახელმწიფო ან სხვა ოფიციალური ორგანიზაციები აფინანსებენ იმ გენეტიკური მასალის კონსერვაციის მიზნით, რომელიც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო მიზნებისთვის, ახალი ჯიშების გამოსაყვანად და სხვ.. საზოგადოებას, როგორც წესი, ამ თესლეულზე ხელი ან საერთოდ არ მიუწვდება, ან ძალიან შეზღუდულად.

არსებობს სათემო თესლეულის ბანკებიც, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის უფრო ღიაა. მათ თესლეულის ნიშანდებისა და შენახვის განსაკუთრებული წესები აქვთ. მათ კოლექციებში ინახება ადგილობრივი ჯიშების თესლეული, რომლებიც ხშირად არ არის ჰიბრიდული და ადგილობრივ პირობებთან არის ადაპტირებული.

## როგორ მუშაობს თესლეულის ბიბლიოთეკა

თესლეულის ბიბლიოთეკის მუშაობა მარტივია. შეთავაზებული თესლეულიდან ირჩევთ იმას, რომელიც მოგწონთ და გსურთ თქვენს ბოსტანში მოიყვანოთ. დადგენილი წესები განსაზღვრავს წასაღები პაკეტების რაოდენობას. მიგაქვთ მხოლოდ იმდენი, რამდენის დათესვასაც რეალურად აპირებთ, რამდენის ზრდისთვისაც გაქვთ შესაფერისი პირობები და საუკეთესო შემთხვევაში, იცით, როგორ მოიყვანოთ. თუ დაგჭირდათ, ინფორმაცია შეგიძლიათ, მოიძიოთ ლიტერატურაში ან უფრო გამოცდილ მწარმოებელს მიმართოთ.

შემდეგ, როცა შესაფერისი დრო დადგება, თესლს თქვენს ბოსტანში სათანადო ადგილას თესავთ. ირჩევთ საუკეთესო, ჯანსაღ მცენარეებს, უკეთებთ ნიშანდებას და თესლს სრულად მომწიფების საშუალებას აძლევთ. შემდეგ იღებთ მოსავალს, აშრობთ და ასუფთავებთ (მავნებლებმა რომ არ დააზიანონ, მიზანშეწონილია პარკოსნების გაყინვით დამუშავება). თესლს მცირე პარტიებად აფასებთ პატარა პაკეტებში (მინიმუმ 10 მარცვალი), უკეთებთ ნიშანდებას და თესლეულის ბიბლიოთეკაში აბრუნებთ, რათა ამჯერად სხვამ „ისესხოს“.

თუ თესლს ვერ ვაწარმოებთ, ესეც არ არის პრობლემა. სემინკოვნამ იცის, რომ შესაძლებელია ასეც მოხდეს. რეკომენდებულია, რომ სემინკოვნას პატარა საჩუქარი მაინც შესწიროთ (ყვითელი ყვავილის ან სხვა ერთწლიანი კულტურის თუ მწვანილეულის თესლი), რომელიც სხვას სიხარულს მიანიჭებს. ამ საქმიანობაში მონაწილეობა ახალბედებსაც კი შეუძლიათ, რომლებისთვისაც თესლეულის წარმოება ჯერ კიდევ სიახლეა. მნიშვნელოვანია, ისეთი კულტურა შევარჩიოთ, რომლის თესლსაც ადვილად ვაწარმოებთ და რომელიც თესლეულის წარმოების საფუძვლების შესწავლის საშუალებასაც მოგვცემს.

## რა როლი აქვთ თესლეულის ბიბლიოთეკებს

თავდაპირველად, შესაძლოა არც იყოს შესამჩნევი, მაგრამ თესლეულის ბიბლიოთეკების ფუნქცია უფრო მეტია, ვიდრე თესლეულის უფასოდ მიწოდება. მისი მისია ასევე გათვითცნობიერებაც არის. ის ხაზს უსვამს თესლეულის მნიშვნელობას, რაც დღეს ხშირად უგულებელყოფილია. ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებულ არაჰიბრიდულ ჯიშებზე, გვიჩვენებს, როგორ მუშაობს თესლეულის ტრადიციული ადგილობრივი წარმოება და სტიმულს აძლევს ადამიანებს, მებოსტნეობის ბუნებრივ სისტემებს დაუბრუნდნენ არასაჭირო ქიმიკატების გამოუყენებლად. ამასთან, გარკვეულწილად, ეს არის მცირე აქტივობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, თესლეულზე თავისუფალი წვდომის უფლებისათვის ვიბრძოლოთ.

*„ჩემი აზრით, კანონიერი უფლება გვაქვს, ხელი მიგვიწვდებოდეს და თესლეული თავისუფლად, ჩვენი არჩევანის მიხედვით გავცვალოთ, როგორც ამას ჩვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში აკეთებდნენ. ვფიქრობ, რომ უფლება გვაქვს, ვაწარმოოთ საკუთარი თესლეული და ამ ცოდნის შენარ-ჩუნებაში წვლილი შევიტანოთ. ვფიქრობ, რომ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სასურსათე კულტურები თვითონვე, ჩვენივე წარმოებული თესლეულით მოვიყვანოთ, რადგან ეს ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკი-დებლობის გარანტიაა. მარტო ერთი ჯიშიც რომ გავახაროთ, ეს უკვე ჩვენ მიერ გადადგმული ერთი პატარა ნაბიჯი იქნება. ყოველი ჩვენგანი უნდა შეუერთდეს ძალისხმევას გაქრობის პირას მყოფი ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად"*, – ***ამბობს კლარა ჰრდა, სემინკოვნას ინიციატივის დამფუძნებელი ჩეხეთის რესპუბლიკაში.***

თესლეულის ბიბლიოთეკას მრავალი მისია შეიძლება ჰქონდეს, რაც ადგილობრივ საქიროებებსა და თემის განწყობაზე არის დამოკიდებული.

ქვემოთ ჩამოთვლილია საკითხები, რომლებიც ასევე შეიძლება გახდეს თესლეულის ბიბლიოთეკების მისია:

---

საჯარო ბიბლიოთეკებში დასწრების გაზრდა და საზოგადოების მეტი ჩართულობა

ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული ჯიშების გამოცდილ დამცველთა და თესლეულის წარმოებაში აქტიურად ჩართულ ადამიანთა ქსელის შექმნა

განათლება თესლეულის წარმოების შესახებ

კანონიერი მოთხოვნის გამოხატვა თესლეულის უფასო გაზიარებასა და ხელმისაწვდომობაზე

გენმოდიფიცირებული თესლეულის უსაფრთხო ალტერნატივის შექმნა

ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული, თავისუფლად დამმტვერავი, არაჰიბრიდული თესლეულის წყაროს შექმნა

მებოსტნეთა ადგილობრივი თემის ხელშეწყობა

გადაშენების პირას მყოფი იმ სახეობებისა და ჯიშების კონსერვაცია, რომლებიც გაყიდვაში არ არის

გენეტიკური მრავალფეროვნების ხელშეწყობა

მნიშვნელოვანი ცოდნისა და გამოცდილების შთამომავლობით გადაცემა

ბუნებასთან ერთიანობის უფრო ღრმა განცდა

ტრადიციული წეს-ჩვეულებების, კერძებისა და სამზარეულოს შენარჩუნება

თესლეულის წყაროს შექმნა მათთვის, ვისაც მისი შეძენის საშუალება არ აქვს

თემის თვითუზრუნველყოფის ხელშეწყობა, შიმშილის აღმოფხვრა

ჯანსაღი კვების პოპულარიზაცია

მებოსტეობის ბუნებრივი მეთოდების პოპულარიზაცია

# თესლეულის ბიბლიოთეკების ისტორია

## აშშ

პირველი თანამედროვე თესლეულის ბიბლიოთეკა შეიქმნა 1999 წელს კალიფორნიის ქალაქ ბერკლის გარემოსდაცვით ცენტრში და მას ეწოდა Bay Area Seed Exchange Library (BASIL). ეს იდეა საშა დუბრულს მაშინ გაუჩნდა, როდესაც კალიფორნიის უნივერსიტეტის მეურნეობის დახურვის შემდეგ იქ არსებული თესლეულის გამოყენებაზე ფიქრობდა. აქ მანამდე ორგანული მეურნეობის მიმართულებით ტარდებოდა კვლევები და ადგილობრივი კულტურები მოჰყავდათ.

თესლეულის პირველი ბიბლიოთეკა, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკაშია განთავსებული, დააარსა კენ გრინმა ქალაქ გარდინერის (ნიუ-იორკის შტატი) ბიბლიოთეკაში 2004 წელს. თესლეულის ბიბლიოთეკების ინიციატივა თანდათან გავრცელდა აშშ-ს შტატებსა და მეზობელ კანადაში. შედეგად შეიქმნა მრავალი ორგანიზაცია, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნებასა და თესლეულის შინამეურნეობებში წარმოების ხელშეწყობას.

## საფრანგეთი

საფრანგეთში პირველი თესლეულის ბიბლიოთეკა ქალაქ ლა-როშელში გახსნა არამომგებიანმა ორგანიზაცია Graines de Troc-მა 2014 წელს. ორგანიზაციის დამფუძნებელი სებასტიენ ვიტევერტი შთაგონებული იყო აშშ-ს თესლეულის ბიბლიოთეკებით. გრანოთეკებმა (Les Granotèques), როგორც მათ საფრანგეთში უწოდებენ, სიმარტივითა და ეკოლოგიურობით მაშინვე აღაფრთოვანეს ფრანგები და ერთ წელიწადში სხვა ქალაქებშიც გავრცელდნენ. ამჟამად რამდენიმე ასეული გრანოთეკაა. გაფართოება გრძელდება საფრანგეთის ფარგლებს გარეთ, ასევე მეზობელ ბელგიაში, ნიდერლანდებსა და სხვა ქვეყნებში.

*„თითოეულ მარცვალს, თითოეულ ჯიშს საგულდაგულოდ თესდნენ, ყოველწლიურად იღებდნენ მოსავალს და გადასცემდნენ თაობიდან თაობას, ბაღიდან ბაღში, ერთი ადამიანი მეორეს, ყველგან პლანეტაზე 10,000 წლის განმავლობაში...*

*ბოდიშს გიხდით გამეორებისთვის: ყველგან პლანეტაზე, ერთი ადამიანი მეორეს, ბაღიდან ბაღში, თაობიდან თაობას. ყოველი მარცვალი, ყველა ჯიში ადაპტირებულია ჩვენს საჭიროებებსა და ჩვენს პირობებთან. ამიტომ მჯერა, რომ დღესაც უნდა გვაფიქრებდეს, რა მდგომარეობაშია ეს ჩვენი მემკვიდრეობა და როგორ მოვუვლით მას მომავალში...", – **ამბობს სებასტიენ ვიტევერტი, თესლეულის ბიბლიოთეკების ქსელის (Les Grainothèques) დამფუძნებელი საფრანგეთში.***

*„კანადაში ადამიანები იცნობენ თესლეულის ბიბლიოთეკის კონცეფციას და თესლეულის გაცვლის პროცესი შეუფერხებლად მუშაობს, საფრანგეთში ეს ინიციატივა ახლა იწყება – ჯერ მხოლოდ მეორე წელიწადია. ჯერ კიდევ არსებობს ტენდენცია, რომ ადამიანებს მიაქვთ თესლეული, მაგრამ ხშირად არ აბრუნებენ. თუმცა ჩვენ ოპტიმისტები ვართ, რადგან ვიცით, რომ ყველაფერს დრო სჭირდება. სხვა ქვეყნების გამოცდილებით ვიცით, რომ როგორც კი ადამიანები მიხვდებიან პროცესის არსს, გაზიარების სისტემაც ამუშავდება. თუმცა წესები თავიდანვე მკაფიოდ უნდა იყოს დადგენილი.*

*მაგალითად, თესლეულის სანაცვლოდ, ადამიანებს ვთხოვთ, ჩვენი საინ-ფორმაციო ბიულეტენი გამოიწერონ, რომელსაც შემდეგ ჩვენ გავავრცე-ლებთ. ბიულეტენი შეიცავს ინფორმაციას თესლეულის წარმოებისა და მებოსტნეობის ბუნებრივი მეთოდების შესახებ, ასევე მოწვევებს ჩვენს ღონისძიებებზე. ეს ერთგვარი შეხსენებაა, რომ მოსავლის აღების შემდეგ თესლეულის გარკვეული რაოდენობა ჩვენს ბიბლიოთეკაში უნდა დაბრუნდეს. როგორც ვთქვით, ჩვენ რეალისტები ვართ. ვცდილობთ, ჭეშმარიტად მონდომებული ადამიანების მცირე საზოგადოება შევქმნათ, რომელიც დროთა განმავლობაში გაფართოვდება".* ***თესლეულის ბიბლიოთეკის გამოცდილება ლილში 2015 წლიდან.***

# თესლეულის ბიბლიოთეკები (სემინკოვნა) ჩეხეთის რესპუბლიკაში

„თესლეულის ბიბლიოთეკის ინიციატივა“ 2015 წელს კლარა ჰრდამ დააარსა სემენკოვნას ინიციატივის სახელწოდებით. მისი შთაგონების წყარო იყო საფრანგეთი, სადაც თესლეულის ბიბლიოთეკების ადგილობრივი ვერსია - გრანოთეკები იხილა.

# როგორ გაჩნდა სემინკოვნას ინიციატივა

„ამ კონცეფციამ იმწამსვე გამიტაცა. მაშინ პატარა ბლოგი მქონდა და ხშირად ვაქვეყნებდი სტატიებს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც ოჯახთან ერთად ვესწრებოდი საფრანგეთში. ერთ-ერთი მათგანი გაიმართა თესლეულის ადგილობრივ ბიბლიოთეკაში ქალაქ ლილში. ამ კონცეფციას აქ გავეცანი. რამდენიმე ადამიანს ვესაუბრე და მოვიპოვე ძირითადი ინფორმაცია, თუ რატომ შეიქმნა ეს ინიციატივა და  როგორ მუშაობს ის.

ვფიქრობდი იმაზე, თუ რისი გაკეთება შეძლო საფრანგეთში მარცვლით სავსე ერთმა ყუთმა და გული დამწყდა, რომ ასეთი ინიციატივა ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩეხეთში. გამიჩნდა იდეა, რომ მე თვითონ მეცადა ამ საქმის წამოწყება. დავუკავშირდი ფრანგული ქსელის დამფუძნებელ სებასტიან ვიტევერტს, რომლისგანაც მივიღე ღირებული რჩევები და ინფორმაცია, თესლეულის საწყისი ნაკრები საკუთარი ბიბლიოთეკის გასახსნელად.

ღამით, როდესაც ოჯახს ეძინა, მოვიძიე ინფორმაცია, შევქმენი ვებგვერდი, ფეისბუქის გვერდი, ლოგო, დავამუშავე წესები, პირველი ბროშურა და ინფოგრაფიკა. ასევე დავუკავშირდი სხვა აქტიურ ადამიანებს, რომლებიც პირველ დღეებში დიდ დახმარებას მიწევდნენ. ბოჰემიაში დაბრუნებისთანავე გავხსენი თესლეულის ბიბლიოთეკა კოლინის მახლობლად მდებარე სოფელ ლიბენიცის სკვერში. ერთი თვის შემდეგ კიდევ ერთი - პრაღის პატარა ბიბლიოთეკაში. სწორედ მაშინ მოვახერხე მედიის ყურადღების მიქცევა. მალე თესლეულის ბიბლიოთეკები სხვა ადგილებში ისე სწრაფად ჩნდებოდა, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თესლეულის ეს ორი პირველი ბიბლიოთეკა შემდგომში დაიხურა, მათ ჩეხეთის რესპუბლიკაში თესლეულის ბიბლიოთეკების ინიციატივას ის ბიძგი მისცეს, რომელიც დასაწყისში იყო საჭირო“.

**კლარა ჰრდა**

## სემინკოვნას ინიციატივა დღეს

ეს ინიციატივა ჩეხეთის რესპუბლიკაში ცხრა წელია მუშაობს და უკვე 230-ზე მეტ ლოკაციას აერთიანებს. ინიციატივამ სწრაფად შთააგონა მეზობელი სლოვაკეთი და თანდათანობით იქაც ათზე მეტი თესლეულის ბიბლიოთეკა გაიხსნა. 2023 წელს მეზობელ პოლონეთშიც დაარსდა პირველი თესლეულის ბიბლიოთეკა, ასევე ჩეხეთის რესპუბლიკის შთაგონებით.

2015 წლიდან კლარა ჰრდა სემინკოვნას ინიციატივას მუდმივად პოპულარიზაციას უწევს მედიაში, აწყობს ფილმების ჩვენებას, ლექციებსა და პრეზენტაციებს ან სტუმრის სტატუსით ესწრება ამ ღონისძიებებს. ის თესლეულის წარმოებას ზრდასრულებსა და ბავშვებსაც ასწავლის. ამჟამად ის ონლაინ-ტრენინგაკადემიის შექმნაზე მუშაობს, რომლის მიზანი საოჯახო პირობებში თესლეულის წარმოების სწავლება იქნება. გარდა ამისა, მას გეგმაში აქვს საბავშვო პროგრამების შექმნა და ინიციატივის იდეის კიდევ უფრო მეტად განვითარება.

2016 წელს კლარა ჰრდამ დააარსა არაკომერციული ორგანიზაცია „სემინკოვნა“, რომელმაც 2022 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პრესტიჟული გრანტი მოიპოვა მოლდოვაში თესლეულის ბიბლიოთეკების ქსელის შესაქმნელად. 2024-ში კი საქართველოშიც გავრცელდა ეს ინიციატივა. ასევე, კლარა ბიომრავალფეროვნების მდგრადი განვითარების მიზნები 2022-ის ნახევარფინალისტია და მან დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშანი სახელწოდებით „სემინკოვნა“.

# თავი 2

# თესლეულის წარმოება

# რა არის თესლეულის წარმოება

თესლეულის წარმოება = საკუთარი თესლეულის მოყვანა

მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის თქვენ მიერ შერჩეული, **თქვენი საყვარელი ჯიშის საუკეთესო მცენარეების თესლეულის კონსერვაცია**. თუ ისე განვმარტავთ, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **თესლეულის წარმოება არის მცენარეების რეპროდუქციული ნაწილების განზრახ შენახვა მომდევნო სეზონზე მათი დათესვის ან დარგვის მიზნით**. ასე რომ თესლეულის წარმოება მოიცავს ყველა აქტივობას: თესლეულის წარმოების გეგმის შედგენა, დათესვა ან დარგვა, მცენარის მოვლა, საუკეთესო ეგზემპლარების შერჩევა, თესლის შეგროვება, გასუფთავება და დაცულად შენახვა მომდევნო სეზონისთვის.

ამაში არაფერია რთული. ჩვენი წინაპრების თაობებმა მოახერხეს ეს, წარმოუდგენელია, რომ თქვენ ვერ გააკეთოთ იგივე. მცირე ძალისხმევით დამწყებსაც კი შეუძლია დათესოს, უბრალოდ, სწორად უნდა შეარჩიოთ ჯიში. წარმატების საფუძველი მცენარეების, მათი საჭიროებებისა და გამრავლების მეთოდების ცოდნაა. მცენარეები თვითონაც მრავლდებიან. საურველი შედეგის მისაღებად საკმარისია მხოლოდ გარკვეული მოქმედება.

# რატომ უნდა აწარმოოთ თესლეული დღეს, ამ საუკუნეში

*„საკუთარი თესლეულის კონსერვაციით დამოუკიდებლობის განაცხადს აკეთებთ. ეს საშუალებას გაძლევთ, თქვენთვის შესაფერისი ჯიშები ზუსტად შეარჩიოთ, რაც ნიშნავს, რომ, თესლეულის საბითუმო წარმოებაზე დამოკიდებულებისგან განსხვავებით, არ დაექვემდებარებით სხვის სტილს, გემოვნებასა და პრიორიტეტებს".* ***კეროლ დეპი***

## ზოგავთ ფულს

**თესლეულის შენახვა და გაზიარება სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც.** თქვენ შეგიძლიათ აწარმოოთ თესლეული უფასოდ; შეგიძლიათ აწარმოოთ იმ რაოდენობით, რომ გაუზიაროთ ოჯახის წევრებს, მეგობრებს ან თემს. თქვენ ზოგავთ თანხას არა მხოლოდ თესლეულის შეძენაზე, არამედ სასუქებსა და შესასხურებელ პრეპარატებზეც, **ზოგავთ მოხმარებული წყლის რაოდენობას**. ერთადერთი, რისი გაკეთებაც გჭირდებათ, უნდა მოიძიოთ არაჰიბრიდული ჯიში, რომელიც თქვენს გემოვნებას შეესაბამება და თქვენს ბაღში კარგად იხარებს, და დაიწყოთ მისი თესლის წარმოება.

## იცავთ მემკვიდრეობას

შესანიშნავი თვისებების მქონე მრავალი ჯიშის მაღაზიებში შეძენა შეუძლებელია. ისინი ხშირად ჯიშების ძირითად კატალოგში შეტანისთვის საჭირო მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონით, ამ თესლის გაყიდვა არ შეიძლება. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ასეთი ჯიშები ხელმისაწვდომია მხოლოდ მებოსტნეებს შორის გაცვლის გზით თესლის ბირჟებზე, თესლეულის ბიბლიოთეკებსა და თესლეულის ბანკებში.

## შეგიძლიათ ექსპერიმენტირება და შემოქმედებითობის გამოვლენა

საოჯახო პირობებში თესლეულის წარმოებით **გაერთობით, აღმოაჩენთ, შეარჩევთ და იქნებით კრეატიული.** შედეგად კი შეიძლება მიიღოთ **ორიგინალური ჯიში, რომელიც თქვენი ოჯახის მემკვიდრეობად იქცევა.**

## იცით, რა მოგყავთ თქვენს ბუნებრივ ბოსტანში

შინაურ პირობებში თესლეულის წარმოების კიდევ ერთი დიდი ღირსება ის არის, რომ იცით თესლეულის წარმომავლობა, იცნობთ ჯიშის მოთხოვნებს და ნაყოფის გემოს. მცენარეები იმახსოვრებენ მებოსტნეობის თქვენეულ სტილს და თქვენს ბოსტანში არსებულ პირობებს. თუ მცენარეები ყოველ სეზონზე მოგყავთ, თანდათან ისინი ადაპტირდებიან და უფრო გამძლენი ხდებიან. ამის შედეგად მათ ნაკლებად აზიანებენ მავნებელ-დაავადებები, თქვენი ბოსტანი ჯანსაღია და ქიმიკატებს არ შეიცავს.

## იცავთ ბიომრავალფეროვნებას

ეს ეხება არა მხოლოდ კულტურულ მცენარეებს, არამედ მათზე დამოკიდებულ მწერებსა და სხვა ცხოველებსაც. მაგალითად, თუ სალათს ან სტაფილოს ყვავილობის საშუალებას მისცემთ, მაშინ დამამტვერიანებელი მწერებისთვის თქვენ საკვების არჩევანს აფართოებთ. გარდა ამისა, ისეთ სასარგებლო მწერებსაც მოიზიდავთ, როგორებიცაა ჭიამაია და ოქროთვალა. ეს სახეობები მნიშვნელოვნად აკონტროლებენ მავნებლებს, განსაკუთრებით ტკიპებსა და ბუგრებს.

## ხართ დამოუკიდებელი

თესლეულის საოჯახო პირობებში წარმოების კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ შეგიძლიათ, სასურველი ჯიშების თესლი განუსაზღვრელი ვადით შეინახოთ და  თესლეულის მწარმოებელი კომპანიების შეთავაზებებზე დამოკიდებული არ იყოთ, რადგან თქვენი საკუთარი თესლეული ყოველთვის თქვენს ხელთაა.

# მკვიდრი ადგილობრივი ჯიშებისა  და მათი კონსერვაციის მნიშვნელობა

როგორც აღვნიშნეთ, თესლეულის ბიბლიოთეკების ერთ-ერთი მისია შეიძლება იყოს ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული ჯიშების შენარჩუნება. ასეთი ჯიშები კი ხშირად თესლეულის მწარმოებელი კომპანიებისთვის არ არის კომერციული თვალსაზრისით საინტერესო . იმ ფაქტს, რომ ეს ჯიშები ადაპტირებული არიან ადგილობრივ პირობებთან, უამრავი სარგებელი მოაქვს. ხშირ შემთხვევაში ისინი წარმოიშვნენ ხანგრძლივი გადარჩევის შედეგად, მიზანმიმართულად ან სრულიად შემთხვევით და მათზე გავლენას ახდენდა კონკრეტული ადგილის ან რეგიონისთვის დამახასიათებელი ადგილობრივი პირობები („ადგილობრივი ჯიშები“). ისინი, ჩვეულებრივ, კარგად არიან მორგებული კონკრეტულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან და ადგილობრივ სტრესფაქტორებთან. ხშირად გარკვეული საერთო მახასიათებლებიც გააჩნიათ, როგორებიცაა საგემოვნო თვისებები ან შენახვის ვადა, რაც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

თესლეულის ბიბლიოთეკაში გაზიარებით ჩნდება შანსი, რომ მათ მოყვანასა და თესლეულის წარმოებას უფრო მეტი ადამიანი დაიწყებს, რათა ეს ღირებული ჯიშები ხშირად დავიწყებას არ მიეცეს.

„თესლეულის წარმოება ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია თავისუფლებისა და თვითუზრუნველყოფისკენ მიმავალ გზაზე“.

**კაროლ დეპი**

# ჰიბრიდული ჯიშები

ჰიბრიდული ჯიშები ორი განსხვავებული მშობელი სახეობის შეჯვარებით მიიღება. „ჰეტეროზისის ეფექტის“ გამო მათ ხშირად შესანიშნავი ნიშან-თვისებები აქვთ. მათ, როგორც წესი, F1 თაობას ან ჰიბრიდს უწოდებენ. დღესდღეობით ბაზარზე ასეთი თესლეული დომინირებს.

თუმცა ჰიბრიდული ჯიშები საოჯახო პირობებში წარმოებისთვის შესაფერისი არ არის. ისინი ნიშან-თვისებებს მომდევნო თაობებში ვერ ინარჩუნებენ და ადგილობრივ პირობებთან ვერ ადაპტირდებიან. თუ ყოველთვის ერთნაირი შედეგის მიღწევა გსურთ, ყოველწლიურად ახალი თესლის ყიდვა მოგიწევთ.

ამიტომ შინამეურნეობაში წარმოებისთვის ყოველთვის შეარჩიეთ ის ჯიშები, რომელთა შესახებაც დანამდვილებით იცით, რომ ჰიბრიდული არ არის.

# თესლეული თესლეულის ბიბლიოთეკისთვის

## როგორ შევარჩიოთ თესლეული

თესლეულის ბიბლიოთეკისთვის ყველაზე მეტად შესაფერისია საკუთარი მოსავლიდან მიღებული, ჯანსაღი და ძლიერი მცენარეებიდან შეგროვებული თესლი, რომელიც ქიმიურად დამუშავებული არ ყოფილა. თესლი უნდა იყოს არაჰიბრიდული ჯიშის, უმჯობესია ისეთი, რომელიც თქვენს ბოსტანში კარგად ხარობს. იდეალურ შემთხვევაში, ეს იქნება ტრადიციული ჯიში თქვენი რეგიონისთვის. გახსოვდეთ, რომ თესლი კარგად გამშრალი, გასუფთავებული უნდა შეინახოთ და ის არასასურველ მინარევებს არ უნდა შეიცავდეს. პარკოსნების თესლი ცხვირგრძელათი რომ არ დასნებოვნდეს, მარცვალი გაყინვით უნდა დამუშავდეს.

## სად მოვიძიოთ თესლეული

თესლეულის ნებისმიერი ბიბლიოთეკისთვის თქვენი ბოსტნიდან აღებული თესლი ყოველთვის კარგი დასაწყისია. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ მეგობრებისგან, ოჯახის წევრების ან მეზობლებისგან მიღებული საჩუქრები. ორგანიზება გაუწიეთ თემის მიერ თესლის შეგროვებას ან თესლეულის გაცვლას, დარჩენილი თესლი კი თესლეულის ბიბლიოთეკაში განათავსეთ. დახმარებისთვის თესლეულის უკვე არსებულ ბიბლიოთეკებსაც მიმართეთ. სხვა შემთხვევაში შეგიძლიათ თესლეული შეიძინოთ, მაგრამ უნდა შეარჩიოთ არაჰიბრიდული და დაუმუშავებელი თესლი. არ შეიძინოთ ის ჯიშები, რომლებიც სელექციონერთა უფლებითაა დაცული.

## საიდან დავიწყოთ

მცენარეები და კულტურები, რომლებიც ადვილად იზრდება და თესლიც ადვილად მწიფდება, ნამდვილად საუკეთესოა საქმის დასაწყებად, თუნდაც ახალბედებისათვის. ეს გაზრდის სეზონის შემდეგ თესლეულის ბიბლიოთეკაში თესლის დაბრუნების შანსს. ასეთი ბოსტნეულია: ჩვეულებრივი პარკოსნები (ბარდა, ლობიო), პომიდორი, წიწაკა ან სალათი. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ წიწმატი, რუკოლა ან იაპონური კომბოსტო. მეტად შესაფერისი და პოპულარულია სხვადასხვა ერთწლიანი და ბალახოვანი მცენარეები, როგორებიცაა კალენდულა, დედოფლის ყვავილი და სხვ.

ზოგჯერ თესლეულის ბიბლიოთეკებში ხეების, ბუჩქების, ველური მცენარეებისა და ზოგიერთი ეგზოტიკური მცენარის თესლიც გვხვდება. ხანდახან კი - ნერგები, კალმები, მრავალწლიანი ან სახლის მცენარეებიც.

# რას მოვერიდოთ

თესლეულის ბიბლიოთეკაში არ უნდა მოხვდეს ჰიბრიდული ან ქიმიკატებით დამუშავებული მცენარეებიდან მიღებული თესლი. მოერიდეთ სელექციონერთა უფლებით დაცულ ჯიშებსაც. თესლეულის ბიბლიოთეკაში არ უნდა იყოს ინვაზიური ან აკრძალულ მცენარეთა თესლი ან იმ მცენარეების, რომელთა ლეგიტიმურობას კანონი არეგულირებს (მაგ. მარიხუანა).

თესლეულის ბიბლიოთეკაში არ შეიძლება მფლობელის თანხმობის გარეშე ისეთი რეგისტრირებული თესლის შეტანა, რომელიც სელექციონერთა უფლებითაა დაცული (მაგ., სემოს საკუთრებაში არსებული ჰოკაიდოს გოგრა). ამ წესის დარღვევა ისჯება ჯარიმით. სელექციის უფლების მქონე პირს, რომელიც მის საკუთრებაში არსებულ ჯიშს ამავე სახელწოდებით აღმოაჩენს თესლეულის ბიბლიოთეკაში, შეუძლია დაკარგული მოგებისთვის კომპენსაცია მოითხოვოს.

# თავი 4

# როგორ შევქმნათ თესლეულის ბიბლიოთეკა

## შექმენით თესლეულის ბიბლიოთეკა

თესლეულის ბიბლიოთეკის შექმნის ერთ-ერთი გზა არის მუყაოს ყუთით სასურველი ფორმის კონტეინერის გაკეთება. გარეგანი სახე თქვენზეა დამოკიდებული, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ პრაქტიკულია, თუ რამდენიმე განყოფილებად დაყოფთ, რაც თესლის პაკეტების მოწესრიგებულად შენახვაში დაგეხმარებათ. უფრო გამოცდილ ადამიანებს თესლეულის ბიბლიოთეკის გაკეთება შეუძლიათ ხისგან ან სხვა მასალისგან, ასევე ძველი კარადის გამოყენებაც და სხვ. შესაძლებლობები უსასრულოა. გაალამაზეთ თესლეულის ბიბლიოთეკა, მიაწერეთ სახელწოდება და მიახატეთ ინიციატივის ლოგო.

## ვის შეუძლია თესლეულის ბიბლიოთეკის შექმნა

თესლეულის ბიბლიოთეკის შექმნა შეუძლია ნებისმიერს ასაკის, განათლებისა და სხვა ფაქტორების მიუხედავად. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თესლეულის ბიბლიოთეკის შექმნაში ბავშვებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. არ შეგეშინდეთ მათი ჩართვა მთელ ამ პროცესში.

## იპოვეთ კარგი ადგილი

თესლეულის ბიბლიოთეკა საჯარო ადგილზე უნდა განთავსდეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვეულებრივ, ასეთი ადგილები შეიძლება იყოს ბიბლიოთეკები, კლუბი, საზოგადოებრივი ცენტრი, ეკოცენტრი, საინფორმაციო ცენტრი, კაფე... ძირითადად ყველა ადგილი, რომელსაც, თქვენი აზრით, სამიზნე ჯგუფი - მებოსტნეები სტუმრობენ. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭირო გახდება შერჩეული დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობა. ასევე შესაძლებელია თესლეულის ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ადამიანთა შეზღუდული საზოგადოებისთვის (მაგალითად, სკოლა ან საბავშვო ბაღი).




## მოიძიეთ თესლეული

ცარიელი ყუთი არავის მიიზიდავს. თავდაპირველად, თესლეულის ბიბლიოთეკისთვის თესლეული უნდა მოძიოთ. კარგია იდეაა თესლის მოთავსება ქაღალდის პაკეტებში და სწორად ნიშანდება. მცენარის სახეობა, საჭიროების შემთხვევაში - ჯიში, მოსავლის აღების ადგილი და თარიღი ყოველთვის უნდა იყოს მითითებული. ამ საკითხზე მეტი ინფორმაციისთვის იხ. მე-3 თავი.

## დაადგინეთ გარკვეული წესები

თესლეულის ყველა ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული წესები, რომლებიც ყოველთვის თვალსაჩინო ადგილზე იქნება განთავსებული. ზოგადი ინფორმაციის გარდა, შეგიძლიათ, საკუთარი პირობებიც დაამატოთ. მაგალითად, შეზღუდოთ პაკეტების რაოდენობა, რომელთა წაღებაც ადამიანებს შეეძლებათ, სთხოვოთ ელ-ფოსტის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირება და სხვ. დააკონკრეტეთ, თუ რა ფორმით მიიღებთ თესლს თესლეულის ბიბლიოთეკაში (კარგი იქნება, თუ თესლი იქნება შეფუთული და ნიშანდებული, რაც დროს დაგიზოგავთ).

**გაითვალისწინეთ, რომ თესლეულის ბიბლიოთეკით სარგებლობა არის უფასო.**

## შექმენით თქვენი გუნდი

თავიდანვე შეეცადეთ, ყველაფრის დამოუკიდებლად კეთება არ მოგიხდეთ. მოაგროვეთ მოხალისეები და მოაწყვეთ შეხვედრები, სადაც თქვენი ჯგუფი მონაწილეობას მიიღებს თესლის შეფუთვასა და სხვა მოსამზადებელ სამუშაოებში. არ დაგავიწყდეთ, რომ თესლეულის ბიბლიოთეკა, სავარაუდოდ, თქვენ გარეშე ვერ იმუშავებს. ამიტომ საკუთარი ენერგია უნდა დაზოგოთ, რათა ეს აქტივობები სახალისო იყოს და არ გადაგღალოთ. დახმარების თხოვნის ნუ შეგეშინდებათ.

დაუკავშირდით მოხუცთა სახლებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, საოჯახო კლუბებსა და სხვა ორგანიზაციებს, სადაც თანამშრომლობისა და თქვენთვის საჭირო დახმარების მიღების შესაძლებლობა გექნებათ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს თესლეულის ბიბლიოთეკაში მოიზიდავს ახალ ენთუზიასტებს, რომლებიც თქვენთან ერთად სიყვარულით იზრუნებენ მასზე.

## მოაწყვეთ საზეიმო ღონისძიება

ზეიმით აღნიშნეთ თესლეულის ბიბლიოთეკის გახსნა და ამ ცერემონიაზე მოიწვიეთ ადამიანები თქვენი სოფლიდან და ქალაქიდან. არ მოგერიდოთ ადგილობრივი მედიის მოწვევაც. არაფერი მიატოვოთ ბედის ანაბარად - ინფორმაცია გაავრცელეთ სოციალური მედიით, ბროშურებით, პრესრელიზებით და სხვ.

ღონისძიების დროს დაინტერესებულ პირებს აჩვენეთ თესლეულის ბიბლიოთეკა და აუხსენით, როგორ მუშაობს და რისთვის გამოიყენება ის. ამასთან, იყავით რეალისტები - დაიწყეთ მცირე სამიზნე ჯგუფით. მოძებნეთ ადამიანები, რომელთათვისაც უცხო არ არის ეკოლოგიური საკითხები, აქვთ საკუთარი ბოსტანი ან ფართობი სადმე სხვაგან დასათესად, ან უკვე არიან მებოსტნეები, ან თავად აწარმოებენ თესლს.

## რას მოიცავს წამოწყების ოფიციალური ღონისძიება?

- პროექტის პრეზენტაცია;
- სემინარი თესლეულის წარმოებაზე;
- ფილმის ჩვენება;
- გასართობი ბავშვებისთვის;
- დისკუსია;
- თესლეულის გაცვლა;
- თესლის შეგროვება თესლეულის ბიბლიოთეკისთვის.

## გზა წარმატებისკენ

გაითვალისწინეთ, რომ ადამიანებს გარკვეული დრო დასჭირდებათ, რათა თესლეულის ბიბლიოთეკის სწორად გამოყენება ისწავლონ. მათ არა მხოლოდ თესლის წაღება უნდა ისწავლონ, არამედ დაბრუნებაც. სხვა ბიბლიოთეკების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო თავდადებული იქნებით ბიბლიოთეკისთვის, მით უკეთ იმუშავებს ის. იმისათვის, რომ თესლეულის ბიბლიოთეკა სიცოცხლისუნარიანი იყოს და წარმატებით იმუშაოს, ორი ძირითადი პირობაა საჭირო:

- პირს, რომელიც ბიბლიოთეკას ქმნის, შესაბამისი პიროვნული თვისებები უნდა ჰქონდეს;
- ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს თემის მხარდაჭერა.

თესლეულის ბიბლიოთეკის თვითდინებაზე მიშვება არ არის კარგი. მას ზრუნვა და ყურადღება წლების განმავლობაში სჭირდება. ჩართეთ საზოგადოება, მოაწყვეთ ღონისძიებები, ისაუბრეთ კონტრიბუტორებთან, გაუზიარეთ ცოდნა, გამართეთ მოსავლის აღების ღონისძიება და ორგანიზება გაუკეთეთ თესლეულის გაცვლას... ერთი სიტყვით, შექმენით საზოგადოება თესლეულის ბიბლიოთეკის ირგვლივ, რადგან მისი დაარსების ერთ-ერთი მიზანი ადამიანების გაერთიანებაა.

კარგი იქნება, თუ წელიწადში ორჯერ მაინც მოაწყობთ ღონისძიებას - მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად მცირე მასშტაბის იქნება ის - და ადამიანებს შეახსენებთ, თუ რატომ შეიქმნა თესლეულის ბიბლიოთეკა, რა დანიშნულება აქვს მას და როგორ არის შესაძლებელი მის საქმიანობაში მონაწილეობა. ასევე მეტად მნიშვნელოვანია საოჯახო პირობებში თესლეულის წარმოების შესახებ საბაზისო ინფორმაციის მიწოდება, რაც ადამიანებს თესლეულის წარმოების სტიმულს მისცემს და თესლეულის ბიბლიოთეკაში თესლის დაბრუნების ალბათობას გაზრდის.

# თავი 5

# თესლეულის ბიბლიოთეკის ამუშავება

# მისია და სახელწოდება

როგორც კი თესლეულის ბიბლიოთეკის შექმნაზე დაიწყებთ ფიქრს, კარგი იქნება ყურადღების გამახვილება მის კონკრეტულ მისიაზეც. მისი ძირითადი ფუნქცია იქნება ინფორმაციის გავრცელება (ცნობადობის ამაღლება ბიომრავალფეროვნების კლების შესახებ) თუ თესლეულის შეთავაზება? თუ ეს იქნება თქვენი ბიბლიოთეკის დანამატი და მის სერვისებს გაამრავალფეროვნებს? რომელი თესლეული იქნება ბიბლიოთეკაში? თქვენ მართავთ თუ თვითმომსახურება იქნება? როგორ დაადგენთ, ასრულებს თუ არა თესლეულის ბიბლიოთეკა თავის ფუნქციას? კარგი იქნება ამ და სხვა კითხვებზე პასუხის თავიდანვე გაცემა, ჩანაწერით დაფიქსირება და მომავალში გათვალისწინება. ეს დაგეხმარებათ სხვა ადამიანებთან კომუნიკაციაში, მოხალისეების შერჩევაში, შესაფერისი ადგილის პოვნაში და სხვ.

ჩეხეთში თესლეულის ბიბლიოთეკები ცნობილია სავაჭრო ნიშნით „სემინკოვნა“, რომელიც გამოიყენება ექსკლუზიურად თესლეულის ბიბლიოთეკების ინიციატივასთან კავშირში. ეს სახელწოდება ლოგოს შემადგენელი ნაწილიცაა. ბიბლიოთეკების ყველა დამფუძნებელს მოეთხოვება ამ სახელწოდებისა და საერთო ლოგოს გამოყენება. ბრენდირება და ვიზუალური იდენტობა ინიციატივის ცნობადობისა და წარმატებისთვის მნიშვნელოვანია.

# თესლეულის ბიბლიოთეკის რეგისტრაცია

თუ თესლეულის ბიბლიოთეკა უკვე მზადაა, შერჩეული გაქვთ ადგილმდებარეობა და მის გასახსნელად მზად ხართ, მაშინ თქვენ იგი მონაცემთა ბაზაში უნდა დაარეგისტრირეროთ. რეგისტრირებული თესლეულის ბიბლიოთეკების სია მოცემულია ინიციატივის ვებგვერდზე და Google-ისა და Mapotic-ის რუკებზე გამოჩნდება. იმავდროულად, მისი პოპულარიზაცია შესაძლებელია სოციალურ ქსელებში ინიციატივის ანგარიშებზე.

რეგისტრაციისთვის საჭიროა მხოლოდ შემდეგი ინფორმაციის გამოგზავნა საკონტაქტო მისამართზე:

- თესლეულის ბიბლიოთეკის მისამართი საფოსტო კოდის ჩათვლით;
- რეგიონი, რომელშიც მდებარეობს ქალაქი ან სოფელი;
- ვებგვერდის მისამართი (სადაც მითითებულია გახსნის საათები და სხვა დეტალური ინფორმაცია), თუ არსებობს;
- სურვილის შემთხვევაში, თესლეულის ბიბლიოთეკის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა);
- თესლეულის ბიბლიოთეკის დაარსების თარიღი;
- არანაკლებ 2 ფოტო (მინიმუმ 1 მბ) და თანხმობა მათ გამოყენებაზე ინიციატივის პოპულარიზაციისთვის.

რეგისტრაციის პროცესში ინიციატივის ადმინისტრატორი მოგაწვდით ლოგოს და ინიციატივასთან დაკავშირებულ ბუკლეტებსა და სტატიებს, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ახალი საიტის გასაჯაროებისა და პოპულარიზაციისთვის.

## ბიუჯეტი

თესლეულის ბიბლიოთეკის გასახსნელად ერთ-ერთი პირველი საკითხია საჭირო ბიუჯეტი. პასუხი მე გამოცდილებიდან მაქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი ხარჯი, როგორც წესი, თესლეულს უკავშირდება. თუმცა ბიბლიოთეკის გასახსნელად თავიდანვე მისი ყიდვა აუცილებელი არ არის. ამის ნაცვლად, იმ თესლეულის გამოყენება სცადეთ, რომელსაც თქვენივე ბოსტნიდან იღებთ ან ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები თუ მეზობლები გაგიზიარებენ. შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს თემის წევრებისგან „თესლის შეგროვება“ ინიციატივის წამოწყებასთან ერთად. ასევე შეგიძლიათ დახმარება უკვე არსებულ თესლეულის ბიბლიოთეკებს სთხოვოთ, ზოგიერთ მათგანს ჭარბი თესლეული აქვს და სიამოვნებით გაგიზიარებთ.

მიუხედავად იმისა, როგორ მიდგომას აირჩევთ, გახსოვდეთ, რომ თესლი დაუმუშავებელი უნდა იყოს და მიღებული - ჯანმრთელი, ქიმიკატებით დაუმუშავებელი მცენარეებიდან. პარკოსნების თესლით ცხვირგრძელათი დასნებოვნების თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია თესლის გაყინვა (საყინულეში, ჰერმეტულ ჭურჭელში დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში). თესლეულის ბიბლიოთეკისთვის იდეალურია იმ არაჰიბრიდული ჯიშების თესლი, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე ხანგრძლივად ხარობენ.

თესლეულის ბიბლიოთეკის მოწყობისას კიდევ ერთი ხარჯის გაწევა შეიძლება დაგჭირდეთ ხის ყუთზე, კარადაზე ან სხვ. შესაძენზე. თუმცა ეს აუცილებელი არ არის. გამოიყენეთ თქვენთვის ხელმისაწვდომი რესურსები. ჩვეულებრივი მუყაოს ყუთი სავსებით შესაფერისი იქნება.

ასევე დაგჭირდებათ პაკეტები, ეტიკეტები და სხვა შესაფუთი მასალები. ყველაფერი ეს შეიძლება დამზადდეს, მაგალითად, ძველი გაზეთებისგან, ჟურნალებისგან და სხვ.

ნებისმიერ შემთხვევაში, გაითვალისწინეთ დრო, რომელიც საჭიროა თესლეულის პაკეტების დასამზადებლად, თესლეულის ბიბლიოთეკის სტუმრებთან კომუნიკაციისთვის და თესლეულის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ღონისძიებების, კურსების ან ლექციების მოსაწყობად.

## სანიმუშო პრაქტიკების მაგალითები

მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში მებოსტნეობას მრავალი ადამიანი მისდევს, თესლეულის ბიბლიოთეკაში პირველი ვიზიტისას მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა თესლეულის საოჯახო პირობებში წარმოების გამოცდილება. აღმოჩნდა, რომ თესლეულის ბიბლიოთეკების უმრავლესობიდან, თავდაპირველად, ადამიანებს თესლი გაჰქონდათ, მაგრამ უკან აღარ აბრუნებდნენ. ამ პრობლემის სწრაფად მოგვარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გაითავისებს თემი თესლეულის წარმოების ძირითად მეთოდებსა და თეორიას; მოახერხებს თუ არა თესლეულის ბიბლიოთეკა ადგილობრივ ისეთი ადამიანების მოძიებას, რომლებიც თესლეულს უკვე აქტიურად აწარმოებენ და მათთან ხანგრძლივად ითანამშრომლებს. მათი შენატანი ბიბლიოთეკაში დაუბრუნებელი თესლეულის დეფიციტს შეავსებს.

ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილებამ აჩვენა, რომ რაც უფრო აქტიურია თესლეულის ბიბლიოთეკა ამ თვალსაზრისით, მით უფრო ადრე დაიწყება იქ თესლის დაბრუნება.

თუმცა ხშირ შემთხვევაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში თესლეულის ერთადერთი წყარო ბიბლიოთეკის დამფუძნებლები არიან, რაც ზოგჯერ ბიბლიოთეკის დახურვით მთავრდება. წარმატებულ თესლეულის ბიბლიოთეკებს, ჩვეულებრივ, შესწევთ ძალა, რომ ერთსამ წელიწადში თესლეულით მომარაგებასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი დაასტაბილურონ. უფრო წარმატებულებს, რომლებიც კონტრიბუტორთა ფართო ქსელის შექმნას ახერხებენ, თესლეულის ჭარბი მარაგი აქვთ და ერთგვარ საყრდენს წარმოადგენენ მათთვის, ვინც ახლა იწყებს მუშაობას.

საუკეთესო შემთხვევაში თესლეულის ბიბლიოთეკა მოცემულ რეგიონში გავრცელებული სპეციფიკური თესლეულის წყარო უნდა გახდეს. ასევე მნიშვნელოვანია თესლეულთან დაკავშირებული ამბების მოსმენა და ჩაწერა, იმ ადამიანების გამოცდილება, რომლებიც ამ ტიპის თესლეულს აწარმოებდნენ. ყოველივე ეს თესლეულის ბიბლიოთეკის ირგვლივ გაერთიანებული საზოგადოების გაფართოებას შეუწყობს ხელს.

## გრაფიკა - თესლეულის ბიბლიოთეკის გარეგანი სახე და სტილი

მსგავსი პროექტისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი გარეგნული სტილი. მიუხედავად იმისა, რომ თესლეულის ბიბლიოთეკის გარეგანი სახე და კონცეფცია მთლიანად დამფუძნებელზეა დამოკიდებული, სახელწოდება და ლოგო ყველა ბიბლიოთეკისთვის ერთნაირია. ლოგო წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ბიბლიოთეკაში, ისე ფლაერებზე, პლაკატებსა და სხვა დაკავშირებულ მასალებზე.




## ვებგვერდი და სოციალური ქსელები

ჩეხეთის რესპუბლიკაში თესლეულის ბიბლიოთეკების ქსელს საერთო ვებგვერდი აქვს, სადაც სტუმრებს შეუძლიათ ნახონ ძირითადი ინფორმაცია და თესლეულის მოქმედი ბიბლიოთეკების ჩამონათვალი დაყოფილი რეგიონების მიხედვით. საიტზე, რომელიც ასევე შეიცავს ბლოგსა და გვერდს რეკლამებითა და ღონისძიებებზე მოსაწვევებით, შეგიძლიათ განათავსოთ ინფორმაცია ცალკეულ ლოკაციაზე დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

სემინკოვნას ინიციატივა და ასოციაცია „სემინკოვნა“ სოციალურ ქსელებშიც არის წარმოდგენილი (ფეისბუქი, ინსტაგრამი და ლინკდინი). ზოგიერთ თესლეულის ბიბლიოთეკას საკუთარი ონლაინპრეზენტაციები აქვს, რომლებიც, როგორც წესი, მასპინძელი ორგანიზაციის ვებგვერდზეა განთავსებული. ზოგიერთს აქტიური გვერდი აქვს სოციალურ ქსელში ან საკუთარი ჯგუფი ჰყავს ფეისბუქზე.

## თესლის შეფუთვა და ნიშანდება

თესლი შეგიძლიათ შეფუთოთ ქაღალდის პაკეტებში (მზა ან ძველი გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებისგან დამზადებული). ასევე შესაძლებელია ცელოფანის პაკეტების გამოყენება, რომლებიც, უმჯობესია, იკეტებოდეს (მაგალითად, ელვაშესაკრავით). ქაღალდის პაკეტები შეგიძლიათ ნაირ-ნაირად გააფორმოთ, რაც შესანიშნავი საშუალებაა ბავშვების ჩასართავად.

პაკეტებს ყოველთვის უნდა ჰქონდეს სათანადო ნიშანდება და აღწერილობა. მკაფიოდ მიუთითეთ: კულტურის სახეობა, საჭიროების შემთხვევაში - ჯიშიც, მოსავლის წელი და ადგილი, ინფორმაცია მცენარის ბიოლოგიური მახასიათებლების შესახებ (მცოცავი/არამცოცავი), კულტივაციის მეთოდი (პრეკულტივაცია/პირდაპირი თესვა) და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც თესვის ან კულტივაციის დროს შეიძლება სასარგებლო იყოს. თუ ჯიშის შესახებ რაიმე საინტერესო ამბავი იცით,ისიც მიუთითეთ.

ზოგიერთ თესლეულის ბიბლიოთეკას აქვს თესლეულის მონაცემთა ბაზა, ზოგიერთს კი - თესლეულის საკუთარი კატალოგიც. თუმცა ეს აუცილებელი არ არის.

# განათლება

თესლეულის ბიბლიოთეკების წარმატებით მუშაობისთვის აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამების ჩართვა. მეტად სასარგებლოა თესლეულის წარმოების საკითხებზე პერიოდულად ტრენინგ-კურსების ორგანიზება მათთვის, ვისაც აქვს მცირე ან საერთოდ არ აქვს გამოცდილება.

მომავალში „სემინკოვნა“ დამატებითი ონლაინკურსების შეთავაზებას გეგმავს, რომელზეც დასწრება სახლიდან გაუსვლელად იქნება შესაძლებელი.

ზოგიერთ საჯარო ბიბლიოთეკაში თესლეულის ყუთების გვერდით სათანადო ლიტერატურაცაა განთავსებული, რათა სტუმრებს საჭირო ინფორმაციის მოძიება გაუადვილდეთ.

თესლეულის ბიბლიოთეკაში უნდა ისწავლონ როგორც ბავშვებმა, ისე ზრდასრულებმა. ჩეხეთის რესპუბლიკაში არსებობს სკოლები და საბავშვო ბაღები, სადაც თესლეულის ბიბლიოთეკები სასწავლო პროგრამის ნაწილია. ეს ყოველთვის დამოკიდებულია საგნის მიმართ მასწავლებლების დამოკიდებულებასა და ენთუზიაზმზე, ასევე იმაზე, აქვს თუ არა სკოლას სივრცე კვლების მოსაწყობად, სადაც მცენარეებს გაზრდიან. ბავშვებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თესლეულის მოყვანასა და წარმოებაში, თესლეულის პაკეტების დამზადებასა და გაფორმებაში.

თესლეულის ბიბლიოთეკებმა ოჯახებს შეიძლება სახალისო სემინარებიც შესთავაზონ. ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა თესლისგან ხელოვნების ნიმუშების დასამზადებლად, მცენარეების შესასწავლად, მარტივი კულტურების (როგორიცაა ბარდა) თესლის წარმოების გასაცნობად. აქ თესლისგან დაამზადებთ ბურთულებს, ქაღალდს, გამოაცხობთ და სხვ.

# თავი 6

# კანონმდებლობა ჩეხეთის რესპუბლიკაში

ჩეხეთის რესპუბლიკაში თესლეულთან და ჩითილებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე მკაცრია ევროკავშირში. თუმცა თესლეულის ბიბლიოთეკები მოქმედ კანონმდებლობას არ არღვევენ, რადგან თესლს უსასყიდლოდ გასცემენ.

- დაუშვებელია **თესლეულის ბიბლიოთეკიდან აღებული თესლეულის კომერციული მიზნებისთვის გამოყენება.**

- დაუშვებელია, თესლეულის ბიბლიოთეკამ **სელექციონერთა უფლებით დაცული ჯიშების თესლი შესთავაზოს,** თუკი მისი მფლობელის თანხმობა არ ექნება. ამ წესის დარღვევა ისჯება კანონით. გამრავლების უფლების მქონე პირს, რომელიც მის საკუთრებაში არსებულ ჯიშებს ამავე სახელწოდებით აღმოაჩენს თესლეულის ბიბლიოთეკაში, შეუძლია, დაკარგული მოგებისთვის კომპენსაცია მოითხოვოს. ამჟამად რეგისტრირებული ჯიშების ევროპული კატალოგი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე:
- cpvo.europa.eu/en/ applications-and-examinations/ cpvo-varieties-database cpvo-varieties-database

- დაუშვებელია **თესლის „სესხება“ კომერციული საქ-მიანობით დაკავებული კერძო ან იურიდიული პირებისათვის**, რადგან ეს ჩაითვლება თესლეულის მარკეტინგად, რაც თესლეულისა და ჩითილების შესახებ მოქმედი კანონის საგანია.

- ფიტოსანიტარიული კონტროლის კანონი თესლეულის ბიბლიოთეკების საქმიანობას არ ზღუდავს, როდესაც თესლეულს ფიზიკური პირები ერთმანეთს უცვლიან.

- **ფიტოსანიტარიული თვალსაზრისით რისკები მომხმარებლებისთვის დაბალია**, ვინაიდან ასე „უმნიშვნელო“ რაოდენობის თესლის გაცვლისას მავნე ორგანიზმების გავრცელების რისკი დაბალია.

- ფიტოსანიტარიული რეგულაციების დებულებები მცენარეთა სავალდებულო სისტემური შემოწმების შესახებ და თესლეულის ფიტოსანიტარიული პასპორტით უზრუნველყოფის ვალდებულების შესახებ თესლეულის ბიბლიოთეკაში არსებულ თესლზე არ ვრცელდება.

შენიშვნა: 2016 წლის პრესრელიზი: თესლეულის უფასო გაზიარება თესლეულის ბიბლიოთეკებში, კანონმდებლობის შესაბამისად (სოფლის მეურნეობის ზედამხედველობისა და გამოცდის მთავარი ინსტიტუტი - ÚKZÚZ)



# ხშირად დასმული კითხვები და პასუხები

## რას მივიღებ ამისგან?

თესლეულის ბიბლიოთეკებში არსებული თესლი ყველასთვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი. დაუშვებელია თესლეულის შეთავაზება ანაზღაურების სანაცვლოდ.

## თუ სტაფილოს თესლს ვისესხებ, სტაფილოს თესლი უნდა დავაბრუნო?

ჩვეულებრივ, აუცილებელი არ არის, ზუსტად იგივე თესლი დააბრუნოთ, რომელიც ისესხეთ. ყველაფერი დამოკიდებულია თესლის წარმოების შესაძლებლობებსა და უნარებზე, აგრეთვე ადგილობრივ კლიმატურ ან სხვა პირობებზე, რომლებსაც თქვენ ვერ აკონტროლებთ. ამიტომ არ ინერვიულოთ, თუ თესლის წარმოების თქვენი მცდელობა წარუმატებელი იქნება. ეს განსაკუთრებით მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ ახალბედა ხართ ან ისეთ სახეობას ირჩევთ, რომლის თესლის აღებაც რთულია. შეგიძლიათ დააბრუნოთ სხვა კულტურების, მწვანილეულობის ან ერთწლოვანი მცენარეების თესლი, რომლის მოსავლის აღებასაც შეძლებთ.

## როგორ მოვიქცე, თუ თესლეული ვერ ვაწარმოე?

არა უშავს, ასეთი რამ ხდება. თუ ნასესხები თესლის მოყვანა ვერ შეძელით, სხვა თესლი მოიტანეთ, რომელიც ჭარბი რაოდენობით გაქვთ (თქვენ მიერ წარმოებული და არა საცალო პაკეტებად შეძენილი) - ყველა შენატანი აძლიერებს თესლეულის ბიბლიოთეკას. შესაძლოა ვინმე გაახაროთ „ჩვეულებრივი“ კამის ან ყვითელი ყვავილის თესლით.

## როგორ მოვიქცე, თუ არ ვიცი, როგორ გავაკეთო ეს?

ნუ იღელვვებთ. დაიწყეთ მარტივი კულტურებით (პომიდორი, ლობიო, ბარდა, სალათი და სხვ.). სანამ საქმეს შეუდგებით, გაეცანით თქვენ მიერ არჩეული მცენარის თესლის წარმოების პროცესს!

თუ გსურთ, კარგი მოსავალი მიიღოთ მომდევნო წლებში, თესლეულის წარმოებაში რაოდენობაზე მეტად ხარისხს მიანიჭეთ უპირატესობა.

ფრთხილად იყავით ყაბაყის, გოგრის თესლის წარმოებისას. ეს კულტურები ეჯვარებიან ერთმანეთს და, ალბათ, არ გაგიხარდებათ, თუ ჰოკაიდოს ჯიში დეკორატიულ გოგრასთან გადაიკვეთება, რომლის ნაყოფს არც ისე სასიამოვნო გემო და მძიმე კანი აქვს... თუ არ გინდათ იმედი გაგიცრუვდეთ, ჯერ ამ კულტურის თესლის წარმოების ინსტრუქცია შეისწავლეთ რეკომენდებულ ლიტერატურაში.

## როგორ მოვამზადო თესლი თესლეულის ბიბლიოთეკისთვის?

კარგი იდეაა თესლის მოხერხებულად შეფუთვა (შეგიძლიათ გამოიყენოთ ქაღალდის პაკეტები, კონვერტებს შეუცვალოთ სახე, დაამზადოთ პაკეტები ძველი გაზეთებისგან და სხვ., ასევე გამოსადეგია ელვაშესაკრავიანი ცელოფნის პაკეტები...). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი ნიშანდება და აღწერილობა პაკეტებზე. მიუთითეთ: **სახეობა, ჯიში, შეგროვების წელი და ადგილი.** თუ სურვილი და დრო გაქვთ, დაუმატეთ ჯიშის მახასიათებლები, ზრდის პროცესის აღწერა და ნებისმიერი გამოსადეგი ინფორმაცია.

# Seed Patron – საპილოტე, 2024 წელი

**Seed Patron (Patron semínek - თესლეულის მფარველი) არის თემის აქტიური მონაწილეობის სქემა, რომელიც მიზნად ისახავს თესლეულის ბიბლიოთეკებისა და თესლეულის ბანკების ქსელის მხარდაჭერას. ამ სქემის დანერგვა ჩეხეთის რესპუბლიკის თესლეულის ბიბლიოთეკის ქსელში 2024 წელს დაიწყო, რასაც ბიგძი მისცა შეერთებულ შტატებში წარმატებით გამოცდილმა სქემამ One Seed, One Community („ერთი თესლი, ერთი თემი“). Seed Patron-ს აფინანსებს ფონდი OSF - Stronger Roots-ის (ძლიერი ფესვები) ინიციატივის ფარგლებში. პროექტი, რომელიც ასოციაცია სემინკოვნას ქოლგის ქვეშ ხორციელდება, ჩეხეთის რესპუბლიკის 150 თესლეულის ბიბლიოთეკიდან აერთიანებს 20-ს.**

ინოვაციური სქემა Seed Patron დაფუძნებულია წარმატებულ ამერიკულ კონცეფციაზე, სახელწოდებით One Seed, One Community. მისი მიზანია შთააგონოს და წაახალისოს მებოსტნეობით გატაცებული ადამიანები, მონაწილეობა მიიღონ ძვირფასი არაჰიბრიდული და ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული ჯიშების კონსერვაციაში. ამ გზით ისინი დადებით წვლილს შეიტანენ ბოსტნეული კულტურების მრავალფეროვნების დაცვაში. ამ სქემის განხორციელებისას ნათელი ხდება, რომ ეს არც ისე რთული საქმეა. ისეთი კულტურების თესლეულის წარმოება, როგორებიცაა ბარდა და ლობიო, საკმაოდ მარტივია და ეს ბავშვებსაც კი შეუძლიათ.

ადამიანებს, რომლებსაც რომელიმე კონკრეტული ჯიშის კულტურა მოჰყავთ, Seed Patron ერთ საზოგადოებად აერთიანებს. ეს პრაქტიკა არა მხოლოდ თესლეულის გაცვლას უზრუნველყოფს, არამედ ადამიანების მიერ საკუთარი ღირებული გამოცდილების ურთიერთგაზიარების პროცესსაც უწყობს ხელს. ამ პროცესში ისინი ახალ პიროვნებათაშორის ურთიერთობებს აყალიბებენ ან უკვე არსებულს განამტკიცებენ. Seed Patron უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ მცენარეთა გაშენება. ის აქტიური თემის ჩამოყალიბების ხელშეწყობაცაა.

თესლეულის წარმოების ერთ-ერთი გავრცელებული პრობლემა ისაა, რომ ცალკეულ ბოსტნების ფართობი მცენარეთა გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის საკმარისი არ არის. Seed Patron-ის მიზანია გვიჩვენოს, რომ ამ საქმისთვის მნიშვნელოვანია თითოეული ბოსტანი, რაოდენ მცირე ფართობის უნდა იყოს ის. ყველაზე მოკრძალებულ ბოსტანსაც კი შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ღირებული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში. თემის წევრების მიერ კონკრეტული ჯიშის კულტურის მოყვანა და თესლეულის გაზიარება, არა მხოლოდ ამდიდრებს მის გენეტიკურ მრავალფეროვნებას, არამედ ზრდის ამა თუ იმ ადგილობრივ პირობებთან მისი ადაპტაციის უნარს. ამიტომ, ერთი ჯიშის კულტურის მრავალი მებოსტნის მიერ გაშენება და შენარჩუნება, ამ პროექტის მთავარ ასპექტს წარმოადგენს.

**Seed Patron – გაზარდე, გაუზიარე, დაიცავი**

# კულტურული მცენარის შერჩევა

ბარდა ან ლობიო მეტად შესაფერისია Seed Patron სქემისთვის, რადგან:

- ისინი იმდენად ადვილი მოსაყვანია, რომ პატარა ბავშვსაც კი შეუძლია ისწავლოს.
- თვითდამტვერავი სახეობებია.
- პომიდვრისა და სალათის ფურცლისაგან განსხვავებით, მათი სასიცოცხლო ციკლი შედარებით ხანმოკლეა, რაც დამწყებთათვისაც კი ზრდის თესლეულის წარმოების და „საქმის ბოლომდე მიყვანის“ მოტივაციას.
- ზოგს უფრო მსხვილ თესლეულთან მუშაობა აინტერესებს, რადგან მათი დამუშავება ხელს უწყობს ნატიფი და ზუსტი მოტორული უნარების განვითარებას და დამამშვიდებელი ეფექტი აქვს.
- მათი თესლი უფრო ადვილი გასასუფთავებელია, ვიდრე სალათის ან პომიდვრის თესლი.
- ზოგიერთი ჯიშის ლობიოს თესლი მეტად მრავალფეროვანი და ფერადია. ეს დამატებითი ასპექტია, რომელიც შეიძლება საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდეს.
- ზოგიერთი ჯიშის ბარდას თვალწარმტაცი და დეკორატიული ყვავილები აქვს, ნორჩი ბარდა კი მაცდური სიამოვნებაა ბავშვებისთვის.

# პროექტის განრიგი

## მარტი, 2024 წ.

**თესლეულის ბიბლიოთეკამ/ბანკმა შეარჩია რეგიონისთვის შესაფერისი და თემის წევრებისთვის ხელმისაწვდომი ჯიში.** იდეალურ შემთხვევაში, ეს იქნება ჯიში, რომელიც გარკვეულწილად მოცემულ რეგიონთან ასოცირდება. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ რეგიონის ადგილობრივი პირობებისთვის შესაფერის კულტურა შეირჩევა. ასევე გასათვალისწინებელი იყო თემის წევრებს საკუთარი ბოსტანი ჰქონდათ თუ მხოლოდ მცირე ზომის საბოსტნე კვალი ან აივანი. ბარდის ზოგიერთი ჯიშის მოყვანა ამაღლებულ კვლებში ან დიდ კონტეინერებშიცაა შესაძლებელი. ლობიო შეიძლება დაითესოს იმგვარად, რომ ზრდის დროს საყრდენს სიმაღლეში აჰყვეს.

**თემს მომავალი პროექტის შესახებ ინფორმაცია** სრული სქემით მიეწოდა. დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იყო ბროშურები და სახელმძღვანელო „როგორ გავაკეთოთ...“, ასევე შესაძლებელია თესლეულის საბაზისო ნაკრების შეთავაზებაც.

მომზადდა თესლეულის პაკეტები. რეკომენდებული იყო თითოეულ პაკეტში 20 ცალი თესლის განთავსება. თუ თესლიც საკმარისი იყო და თემს უფრო გამოცდილი მებოსტნეებიც ჰყავდა - საკმარისად დიდი ფართობის ბოსტნებით, უნდა მომზადებულიყო თესლეულის სამი ტიპის პაკეტები:

- იზრუნეთ თესლეულის გაზიარებისთვის: 20 თესლი – რამდენიმე თქვენთვისაც შეინახეთ და მეზობელსაც გაუზიარეთ,
- დათესეთ მწკრივში: 40 თესლი – დათესეთ და მოიყვანეთ მწკრივში თქვენთვის და სხვებისთვის, თემის სასარგებლოდ,
- ლობიოს მარცვლები კვალში (კონტეინერში): 100 თესლი - დათესეთ კვალში (კონტეინერში) უკეთესი შედეგის მისაღებად.

**თესლეულის შეფუთვა დაწყების საზეიმო ღონისძიებისთვისაც შეიძლებოდა წინასწარ მომზადებულ პაკეტებში,** რომლებშიც მოთავსდებოდა ინფორმაცია და ინსტრუქციები. ეს დროს დაგიზოგავდათ.

შედგენილია მონაწილეთა სია ელ-ფოსტის მისამართის მითითებით. მონაწილეობის მისაღებად საჭირო იყო ელ-ფოსტის მისამართის მიწოდება პროგრამის მსვლელობის დროს მონაწილეთათვის თესვის ვადების შესახსენებლად, კულტურის მოყვანასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მისაწოდებლად და სხვ.

## აპრილი-მაისი, 2024 წ.

**ჩატარდა დაწყების საზეიმო ღონისძიებები,** სადაც პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს გადაეცათ თესლეულის პაკეტები და ინსტრუქციები მათ მოსაყვანად.

ამ გაცნობითი ხასიათის შეხვედრების დროს მოხდა Seed Patron-ის პროგრამის წარდგენა თავისი ინსტრუქციებით, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ თესლეული ისე, რომ მისი დაბრუნების ალბათობა გაიზარდოს. სქემის მიზანია, მონაწილეებმა მოიტანონ ან გამოაგზავნონ მინიმუმ იმავე რაოდენობის თესლეული, რამდენიც წაიღეს, სასურველია - მეტიც. ბუნებრივია, მათ უფლება აქვთ, გარკვეული ნაწილი შეინახონ თავისთვის, ოჯახებისა და მეგობრებისთვის.

მონაწილეებს შესთავაზეს შეევსოთ დღიური (რომელიც შედგენილია სქემის გათვალისწინებით) და საკუთარი გამოცდილება სოციალურ მედიაში გაეზიარებინათ ჰეშთეგებით **#patronseminek** და **#seminkovna**. თემებს თავისუფლად შეეძლოთ, გაემართათ კონკურსები თესლეულის „საუკეთესო მფარველის", სოციალური მედიის რჩეულისა და სხვათა გამოსავლენად.

მონაწილეებმა, რომლებმაც თესლეული ვადის ამოწურვამდე (ფინალური ღონისძიება) დააბრუნეს, პროგრამის წარმატებით დასრულების სერტიფიკატი მიიღეს და შეუძლიათ **თესლეულის მფარველის** (Seed Patron) წოდებით იამაყონ.

**ასევე გამოვლინდა ჩატარებული კონკურსების განსაკუთრებული გამარჯვებული.**

**მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ ინდივიდუალური პირები და ჯგუფები.**

## აპრილი-ოქტომბერი, 2024

### ელ-ფოსტით მხარდაჭერა

- პირველი წერილი - დაწყება.
- მეორე წერილი - თესვა (დარგვა): თესვის ვადების შეხსენება.
- მესამე წერილი – შეხსენება, თუ როგორ უნდა მოვიყვანოთ კულტურული მცენარე და ვაწარმოოთ თესლეული, რას უნდა ველოდეთ ამ გზაზე, ინფორმაცია თესლეულის წარმოების მომავალი კურსების შესახებ. მათთვის, ვინც გრძნობს, რომ დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროება და მათთვისაც, ვისაც სურს სხვა კულტურების თესლეულის წარმოება ისწავლოს, სასარგებლო იქნება Seed Patron სქემაში სასწავლო კურსების შეტანა - ე.წ. **თესლეულის წარმოების მასტერკლასი**.
- მეოთხე წერილი - მოსავლის აღება და დახურვის დიდი ცერემონიალის თარიღის გამოცხადება.
- მეხუთე წერილი - ზეიმი და დახურვის დიდი ცერემონიალის დეტალები, ინფორმაცია თესლეულის ბანკში თესლეულის შემოწირვის და შემდგომ დამადასტურებელი სერტიფიკატების გაგზავნის შესახებ.

# სექტემბერი - ოქტომბერი, 2024

## დახურვის ცერემონიალი

ერთმნიშვნელოვანია, რომ ზეიმისთვის რომელიმე შესაფერისი დღე უნდა გამოვნახოთ. ერთ-ერთი კარგი ვარიანტია 16 ოქტომბერი - სურსათის მსოფლიო დღე. ასევე შესაძლოა შევარჩიოთ მოსავლის აღების ფესტივალები, რომლებსაც დავესწრებოდით და დამატებით ამ პროგრამის საზეიმო აღნიშვნას გავმართავდით.

**სქემის მიზანია, მონაწილეებმა ისწავლონ კულტურული მცენარეების სწორად მოყვანა და მათი თესლეუ-ლის წარმოება.** მეტად სასურველია, რომ ამ კულტურების მოყვანა მათ მომავალშიც გააგრძელონ. ეს, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა და აღიარებასა და შექებას იმსახურებს. ამიტომ მიზანშეწონილია, ყოველივე ამის დახურვის ღონისძიებაზე აღნიშვნა.

**დახურვის ღონისძიების დროს შეგროვებული თესლეული აიწონა** და გაკეთდა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, თუ რა მოცულობის თესლეული შეგროვდა თავდაპირველად გაცემულ რაოდენობასთან შედარებით. მომავალ წელს იდეალური იქნება კიდევ უფრო მეტი „თესლეულის მფარველის“ მოზიდვა, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ თესლეულის ბანკში, ან თესლის გაცვლა თესლეულის სხვა ბანკთან და ა.შ.

**თუ ეს სქემა სადმე შედეგს არ მოიტანს და კულტურული**

**მცენარე ვერ გაიხარებს**, არაფერი დაშავდება. ამან შეიძლება სასარგებლო ინფორმაციაც მოგაწოდოთ - ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ კონკრეტული ჯიში მოცემული ტერიტორიისთვის შესაფერისი არ არის და სხვა უნდა შეირჩეს ან შესაძლოა საჭირო იყოს მეტი წახალისება და მუშაობა მოხალისეებთან. ნებისმიერ შემთხვევაში, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეთ, ყურადღება მიიპყარით, რადგან ეს შეიძლება წაადგეს სხვა საქმიანობას, რომელსაც თქვენ ახორციელებთ.

## მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდა

მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა მხარეებმა ელ-ფოსტის მისამართები უნდა გამოგზავნონ, რათა მათ გაეგზავნოთ როგორც შეტყობინებები და შეხსენებები თესვის ვადების შესახებ, ისე კულტურულ მცენარესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია. გარდა ამისა, მონაწილეებს საშუალება ექნებათ, დასვან კითხვები. ეს მათ საშუალებას მისცემს, მცენარის ზრდის მთელი სეზონის განმავლობაში მხარდაჭერა მიიღონ, ხოლო თემის წევრებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თესლეულის წარმოებითა და შენარჩუნებით, გზას გაუკვალავს. საჭიროების შემთხვევაში „სემინკოვნა“ მხარდაჭერასა და დახმარებას უზრუნველყოფს.

## პროგრამაში მონაწილეთა მოზიდვის რამდენიმე გზა არსებობს:

- ეწვიეთ ფერმერთა ბაზრებს, დაესწარით სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებს და დაარიგეთ ბუკლეტები.
- თესლეულის ბანკში იქონიეთ რამდენიმე პაკეტი ნიშანდებით „თესლეულის მფარველი“ (Seed Patron) და რეგისტრაციის ფურცელი მათთვის, ვინც დაინტერესებულია გაწევრიანებით.
- შექმენით ონლაინ-რეგისტრაციის ფორმა და სოციალურ ქსელებში გააზიარეთ. ეს საშუალებას მოგცემთ, უფრო ფართო აუდიტორიას დაუკავშირდეთ.
- მიმართეთ ცალეულ პირებსა და დაწესებულებებს (სკოლებს, ბაგა-ბაღებს, მოხუცთა სახლებს და სხვ.), რომლებიც მიწის დიდ ნაკვეთებს ფლობენ. შეაფასეთ, შეუძლიათ თუ არა მათ მონაწილეობის მიღება და დიდი რაოდენობით მცენარეების მოყვანა „კვლებში“ ან „მწკრივებში“ თემის მხარდასაჭერად. თუ თესლეულის მსხვილ მწარმოებლებს მოიძიებთ, შეგიძლიათ პოსტერები დაამზადოთ და მათ საკუთ-

რებაში განათავსოთ, რაც Seed Patron-ის სქემაში თემის მონაწილეობის შესახებ ინფორმირებას უზრუნველყოფს და სქემის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

- მოაწყვეთ საჯარო საუბრები ან სხვა მსგავსი საზოგადოებრივი ღონისძიება.
- ადგილობრივ გაზეთში/ფეისბუქის ჯგუფში გამოაქვეყნეთ სტატია, ადგილობრივი რადიოთი კი პროგრამის დაწყების შესახებ განაცხადეთ .

## სემინკოვნას მხარდაჭერა

დაფინანსებულია პროექტ Stronger Roots-ის ფარგლებში

- Seed Patron-ის ერთიანი ლოგო
- მონაწილეთა სერტიფიკატი - ხელმისაწვდომია ონლაინ
- მონაწილეების ელექტრონული მხარდაჭერა ელ-ფოსტითა და პირისპირ (Zoom-ის შეხვედრები)
- ონლაინ ტრენინგი (თესლეულის წარმოება, თემის ხელშეწყობა, პროგრამა Seed Patron-ის სქემა, თესლეულის ბანკის მართვა და სხვ.)
- ბუკლეტები, ინსტრუქციები, დღიური – ხელმისაწვდომია ონლაინ
- კლარა ჰრდა (Seed Patron, თესლეულის წარმოება), ელისკა ჰალვა (თემის ხელშეწყობა) და იანა ჩაპოვა (პროექტის მართვა და ღონისძიების დიზაინი) მონაწილეობდნენ გახსნისა და დახურვის ღონისძიებებში ხუთ შერჩეულ ლოკაციაზე
- თესლეულით უზრუნველყოფა (შეზღუდული რაოდენობით)
- სქემის შესახებ ონლაინ-შეხვედრის გამართვის ან უბრალოდ გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა



# თესლეულით გაერთიანებულები

## ჩეხურ-მოლდოვური თესლეულის ბიბლიოთეკების გახსნა მოლდოვაში

# პროექტის განხორციელების პერიოდი: 11/2022 - 7/2023

**„თესლეულით გაერთიანებულები: ჩეხურ-მოლდოვური თესლეულის ბიბლიოთეკების გახსნა მოლდოვაში“** არის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ჩეხეთის გამოცდილების გამოყენებას თესლეულის ბიბლიოთეკებისა და თესლეულის ბანკების ქსელის შესაქმნელად. ასეთი ქსელი ჩეხეთის რესპუბლიკაში 2015 წელს დაარსა ბოტანიკოსმა და მცენარეების მოყვარულმა კლარა ჰრდამ (Semínkovna, z. s.). პროექტის პარტნიორია მოლდოვური ორგანიზაცია Grădina Moldovei („მოლდოვას ბაღი“).

მოლდოვა მდიდარი ისტორიის მქონე აგრარული ქვეყანაა. თვითმოხმარებაზე ორიენტირებულ სოფლის მეურნეობაში თესლეულის წარმოება ტრადიციას წარმოადგენს, რომელმაც ჩუმად, და ზოგჯერ შეუმჩნევლადაც, დღემდე მოაღწია, თუმცა მრავალი ადგილობრივი და ტრადიციული ჯიში თანდათან გაქრა. ამის მიზეზი ძირითადად მასობრივი წარმოებისთვის განკუთვნილი კომერციული ჯიშების პოპულარიზაცია იყო. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ჯიშების თესლეული საიმედოდ შემოინახეს ადგილობრივმა მცირე ფერმერებმა და გლეხებმა, ძირითადად - ქალებმა.

*„ამ პროექტის წყალობით მოვახერხეთ, საზოგადოების ყურადღება მიგვეპყრო თესლეულთან დაკავშირებული საკითხებისკენ, მათი წარმოების მეთოდებისა და იმ ადამიანებისკენ, რომლებიც მათ კონსერვაციაზე ზრუნავენ. ისინი დაგვიკავშირდნენ, როდესაც მოლდოვაში ასეთი ქსელის შექმნას ვიწყებდით. ამ პროექტმა საშუალება მოგვცა, თანდათან ჩამოგვეყალიბებინა ენთუზიასტთა ფართო საზოგადოება და ამის შედეგია თესლეულის ბიბლიოთეკების ქსელი მოლდოვაში. მთელ ამ საქმიანობას ჩვენთვის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რადგან მან ხელი შეუწყო მოლდოვის კულტურის ავთენტიკურობის აღორძინებას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწასთან, სოფლის მეურნეობასთან და ბუნებასთან“,* - *განმარტავს* ***ანა ბენოლიელ კოუტინიო Grădina Moldovei-დან.***

საბოლოო ჯამში, პროექტის ფარგლებში, მთელ მოლდოვაში შეიქმნა თესლეულის 20 ახალი ბიბლიოთეკა. ყველა დამფუძნებელი დაესწრო თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებს, მათ გადაეცათ თესლეულის საბაზისო ნაკრები თავიანთ ქალაქებსა თუ სოფლებში თესლეულის საკუთარი ბიბლიოთეკის დაარსებისათვის. პროექტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ყველა დამფუძნებელმა ენთუზიაზმით მიიღო. ისინი კარგად აცნობიერებენ ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული თესლეულისა და მისი წარმოების ტრადიციული მეთოდების შესახებ საზოგადოების გაცნობიერების მნიშვნელობას.

*„თესლეულის ბიბლიოთეკის პროექტის ფოკუსში შეიძლება ბუნების ერთი უმცირესი კომპონენტი მოექცეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ის ნამდვილად მნიშვნელოვანია და დიდი ცოდნა მოაქვს. ჩემი, როგორც თესლეულის მცველის, ხედვით, ეს პროექტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ისეთი საზოგადოების აღორძინებისა და მშენებლობის გზაზე, რომელიც პრიორიტეტს კარგ, ჯანსაღ საკვებს ანიჭებს. იმედი მაქვს, რომ პროექტი ხელს შეუწყობს ახალი თაობების განათლებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ის უჩვენებს სხვებს, რომ მცირე ფერმერები, რომლებიც აგროეკოლოგიის მეთოდებს ან პერმაკულტურას იყენებენ, ეკონომიკურად უფრო მდგრადები არიან. ყოველივე ამან შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს ქვეყნის საერთო განვითარებაზე. და ეს ხდება ბუნებასთან ჰარმონიაში და არა მასთან დაპირისპირებით“,* - ამბობს პროექტის შესახებ **ტატიანა სემცოვი,** საოჯახო ფერმერი სოფელ ბატირიდან (ციმიშლიას რეგიონი) და მოლდოვაში თესლეულის ბიბლიოთეკების ერთ-ერთი ახალი დამფუძნებელი.

პროექტმა, რომელიც განხორციელდა ჩეხური ასოციაცია „სემინკოვნას“ და მოლდოვის ორგანიზაცია „გრადინა მოლდოვიეს“ მიერ Challenge Fund-ის დაფინანსებით, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, რომლის შედეგებიც უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ პროექტის განხორციელება და გამოცდილების გაზიარება ჩეხეთის რესპუბლიკის თესლეულის ბიბლიოთეკებთან. პროექტმა მოგვცა შესაძლებლობა, დავფიქრებულიყავით მის ერთიან კონცეფციაზე სხვა ქვეყნის კონტექსტში - მისი უნიკალური პირობებისა და მიდგომების გათვალისწინებით.

პროექტის დამფინანსებელია გამოწვევების ფონდი (Challenge Fund): ჩეხეთის გადაწყვეტილებები მდგრადი განვითარების მიზნებისათვის, რეგიონში ინოვაციებისა და ცვლილებების ეფექტიანად განსახორციელებლად 2022–2023 წლებში.

# სარჩევი


შესავალი ---------- 6

თავი 1 თესლეულის ბიბლიოთეკები ---------- 8

რა არის თესლეულის ბიბლიოთეკა ---------- 9

რა არის თესლეულის ბანკი ---------- 10

როგორ მუშაობს თესლეულის ბიბლიოთეკა ---------- 10

რა როლი აქვთ თესლეულის ბიბლიოთეკებს ---------- 10

თესლეულის ბიბლიოთეკების ისტორია---------- 14

აშშ ---------- 14

საფრანგეთი ---------- 14

თესლეულის ბიბლიოთეკები („სემინკოვნა“) ჩეხეთის რესპუბლიკაში------- 16

როგორ გაჩნდა სემინკოვნას ინიციატივა ---------- 16

სემინკოვნას ინიციატივა დღეს ---------- 17

თავი 2 თესლეულის წარმოება ---------- 18

რა არის თესლეულის წარმოება ---------- 19

რატომ უნდა აწარმოოთ თესლეული დღეს, ამ საუკუნეში ---------- 20

ზოგავთ ფულს 20

იცავთ მემკვიდრეობას 20

შეგიძლიათ ექსპერიმენტირება და შემოქმედებითობის გამოვლენა 21

იცით, რა მოგყავთ თქვენს ბუნებრივ ბოსტანში 21

იცავთ ბიომრავალფეროვნებას 21

ხართ დამოუკიდებელი 21

მკვიდრი ადგილობრივი ჯიშებისა და მათი კონსერვაციის მნიშვნელობა 22

ჰიბრიდული ჯიშები 23

თავი 3 - თესლეული თესლეულის ბიბლიოთეკისთვის 24

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება თესლეულის შერჩევისას 25

სად მოვიძიოთ თესლეული 25

საიდან დავიწყოთ 26

რას მოვერიდოთ ---------- 27

თავი 4 - როგორ შევქმნათ თესლეულის ბიბლიოთეკა ---------- 28

შექმენით თესლეულის ბიბლიოთეკა ---------- 29

ვის შეუძლია თესლეულის ბიბლიოთეკის შექმნა ---------- 29

იპოვეთ კარგი ადგილი ---------- 30

მოიძიეთ თესლეული ---------- 30

დაადგინეთ გარკვეული წესები ---------- 31

შექმენით თქვენი გუნდი ---------- 31

მოაწყვეთ საზეიმო ღონისძიება ---------- 32

გზა წარმატებისკენ ---------- 33

თავი 5 - თესლეულის ბიბლიოთეკის ამუშავება ---------- 34

მისია და სახელწოდება ---------- 35

თესლეულის ბიბლიოთეკის რეგისტრაცია ---------- 36

ბიუჯეტი ---------- 37

სანიმუშო პრაქტიკების მაგალითები ---------- 38

გრაფიკა - თესლეულის ბიბლიოთეკის გარეგანი სახე და სტილი ---------- 38

ვებგვერდი და სოციალური ქსელები ---------- 38

თესლის შეფუთვა და ნიშანდება ---------- 38

განათლება ---------- 39

თავი 6 - კანონმდებლობა ჩეხეთის რესპუბლიკაში ---------- 40

თავი 7 - ხშირად დასმული კითხვები და პასუხები ---------- 42

თავი 8 - თესლეულის მფარველი, საპილოტე, 2024 წელი ---------- 44

თავი 9 - თესლეულით გაერთიანებულები: ჩეხურ-მოლდოვური თესლეულის ბიბლიოთეკების გახსნა მოლდოვაში ---------- 50

**ინფორმაცია ასოციაცია „სემინკოვნას“ შესახებ**
ID: 05212642
კონტაქტი
ტელეფონი: +420 773 474 606
ელ-ფოსტა: info@seminkovna.cz
ვებგვერდი: Seminkovna.cz

**თესლეული ჩვენს ხელში**
თესლეულის ბიბლიოთეკების მუშაობის მეთოდოლოგია, 2015–2024 წლებში ჩეხეთის რესპუბლიკაში „სემინკოვნას“ სამოქალაქო ინიციატივის გამოცდილების საფუძველზე

ავტორი: კლარა ჰრდა
ჩეხური ენის კორექტორი: მარკეტა ტეუშნეროვა
ინგლისური თარგმანი: SPĚVÁČEK překladatelská agentura s.r.o.
გამოცემულია ასოციაცია „სემინკოვნას“ მიერ

Challenge Fund-ის საგრანტო პროექტი „კულტურების დაკავშირება თესლეულით: ჩეხეთის თესლეულის ბიბლიოთეკებით შთაგონებული საქმიანობა საქართველოშიც ვრცელდება“

გამოცემის თარიღი: 2024 წლის სექტემბერი
პირველი გამოცემა
ილუსტრაცია, გრაფიკული დიზაინი, დამუშავება და ბეჭდვა: ანა პეტრიკოვა
ფოტო: ასოციაცია „სემინკოვნას“ არქივი, კლარა ჰრდას არქივი, ანა გროსმანოვა
საავტორო უფლება: Seminkovna, z.s.

---

**ინფორმაცია პუბლიკაციის ქართულ ენაზე მომზადების შესახებ**

ქართული თარგმანი: ზაზა კილასონია

ქართული ენის რედაქტორი: მარიკა კვესელავა

პუბლიკაცია ქართულ ენაზე ითარგმნა ასოციაცია „ელკანას“ მიერ პროექტის, „კულტურების დაკავშირება თესლეულით: ჩეხეთის თესლეულის ბიბლიოთეკებით შთაგონებული საქმიანობა საქართველოშიც ვრცელდება“, ფარგლებში